



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



# მენველი საქონლის კვება



## როგორ გავზარდოთ ცხოველის პროდუქტიულობა?

მსხვილფეხა პირუტყვის წველადობის გაზრდა ყველა ფერმერის საფიქრალია. შევეცდებით განვზარდოთ ძირითადი ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ცხოველის პროდუქტიულობაზე და ფერმერებს მივცეთ რჩევები. წველადობაზე მოქმედი ფაქტორების კრებითი ფორმულირება შემდეგნაირადაა შესაძლებელი: ცხოველის ჯიში, რეპროდუქციის უნარი, მაკვობის პერიოდი, ლაქტაციის რიგითობა, გეოგრაფიული მდებარეობა, გარემო პირობები, ცხოველის კვება, წველის სიხშირე, ქრონიკული დაავადებები და სხვა.

## რა არის ბალახი?

ბალახი შეიცავს ცხოველთა კვებისათვის სამ მნიშვნელოვან ელემენტს: უჯრედანას, რომელიც განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ბალახის ღეროებში; სახამებელს, რომელიც კუჭში შაქრად გარდაიქმნება, შაქარი კი ენერჯის წყაროა ორგანიზმისთვის; და ცილას, რაც მნიშვნელოვანია ზრდისა და რძის წარმოქმნისთვის.

## რა არის ბალანსირებული საკვები?

ბალანსირებული საკვები რაციონი წველადობის მაქსიმალური მაჩვენებლის წინაპირობაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი ყველა ფერმერისთვისაა ცნობილი, საკვების დაზოგვა ხშირი პრაქტიკაა საქართველოში. გთხოვთ გაითვალისწინოთ სწორი კვებითი რაციონის მიცემა ცხოველისთვის გადამწყვეტია მინიმუმ,



მშრალობის პერიოდსა და მოგებიდან 3 თვის განმავლობაში. ბალანსირებული საკვები სხვადასხვა სახის კულტურათა და მინერალურ ნივთიერებებთან თანაფარდობაა. მზადდება საწარმოში ან ფერმაში მკაცრი გათვლებით. ზამთრის პერიოდში საკვები რაციონის დასაბალანსებლად კი მზა ნარევიები, პრემიქსების სახითაა წარმოებული.

### **როგორ უნდა ვკვებოთ მენველი საქონელი?**

დღის განმავლობაში ადგილობრივი ჯიშის მენველმა საქონელმა სულ მცირე 6 კგ. კარგი თივა უნდა მიიღოს, ხოლო ყოველი ლიტრი რძისათვის კი – დამატებით 750 გრ თივა. შესაბამისად, თუ საქონელი 10 ლიტრს იწველება, დღის განმავლობაში სულ მცირე 13-14 კგ. მაღალი ხარისხის თივა ესაჭიროება.

### **რა მნიშვნელობა აქვს ცხოველის თავისუფალ დანყურებას?**

წყალს დიდი მნიშვნელობა აქვს ცოცხალი ორგანიზმისთვის. წყალი მონაწილეობს ყველა მეტაბოლურ პროცესში, წყლის გარეშე საკვების მონელება არ ხდება.



## დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ



ვეტერინარ- \_\_\_\_\_

მისამართი: \_\_\_\_\_ ტელ.: \_\_\_\_\_



**მომზადებულია იმერეთის ვეტერინართა  
რეგიონული ასოციაციის მიერ**

ბროშურა დაიბეჭდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში  
„საქართველოში აგრობიზნესის ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური  
პროფესიული განათლების განვითარება“